საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია

აქტიურად მონაწილეობთ თქვენი სამშობლოს სოციალურ, აკადემიურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში? გსურთ აქტიურად და პასუხისმგებლობით აშენოთ თქვენი ქვეყნის მომავალი? გსურთ შეიხედოთ პოლიტიკის "კლუარებში" და უშუალოდ ეზიაროთ დემოკრატიას?

მაშინ ისარგებლეთ შესაძლებლობით, მონაწილეობა მიიღეთ გერმანიის ბუნდესტაგისა და ბერლინის უნივერსიტეტების ამ მსოფლიო მასშტაბით უნიკალურ პროგრამაში და განცხადება შეიტანეთ საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის (IPS) მისაღებად.

გერმანიის ბუნდესტაგი ბერლინის უნივერსიტეტებთან ერთად ყოველწლიურად სთავაზობს დაახლოებით 115 კვალიფიცირებულ ახალგაზრდას ახლა უკვე 25 ქვეყნიდან მსოფლიო მასშტაბით უნიკალურ საშუალებას, მრავალთვიანი პრაქტიკა გაიაროს ბუნდესტაგის ერთ-ერთ წევრთან, გაეცნოს გერმანულ პოლიტიკაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებს და პრაქტიკული გამოცდილება დააგროვოს საპარლამენტო მუშაობის სფეროში.

პროგრამის მიზანია უფრო მეტად გაუღვივოს ახალგაზრდობას ინტერესი დემოკრატიისა და საზოგადოებისადმი, წაახალისოს და ენთუზიაზმით განაწყოს იგი დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია (IPS) გრძელვადიანი ინვესტიციაა დემოკრატიული ფასეულობებისა და ტოლერანტობის განმტკიცების და ევროპაში კულტურული მრავასახეობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშესაწყობად.

დღეისათვის ამ პროგრამაში მონაწილეობენ შემდეგი ქვეყნები: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, საქართველო, ყაზახეთი. სორვატია, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდავეთი, პოლონეთი, ბელარუსი, რუმინეთი, რუსეთი, სერბია (და მონტენეგრო), სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, უკრაინა, უნგრეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკა 1 მარტს იწყება და სულ ხუთ თვეს გრძელდება. სტიპენდიის ბირთვია სამთვენახევრიანი პრაქტიკა გერმანიის ბუნდესტაგის ერთ-ერთი დეპუტატის ოფისში. გარდა ამისა სტიპენდიატები მონაწილეობას მიიღებენ ხუთი პოლიტიკური ფონდის სემინარებში და შეასრულებენ ბერლინის სამი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ დამატებით აკადემიურ პროგრამას.

მონაწილენი გერმანიის ბუნდესტაგის ბიუჯეტის სახსრებიდან თვიურად 450,-- ევროს ოდენობის სტიპენდიას მიიღებენ. გარდა ამისა სტიპენდიაში შედის უფასო საცხოვრებელი სამოთახიან ბინაში, რომელშიც ორი სტიპენდიატი მოთავსდება და აგრეთვე სარჯები სტუდენტთათვის გათვალისწინებული სამედიცინო, უბედური შემთხვევისა და საგარანტიო დაზღვევისათვის. ანაზღაურებულ იქნება აგრეთვე ბერლინში ჩამოსვლისა და უკან გამგზავრების ხარჯი.

საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის თაობაზე დამატებით ინფორმაციისა და განცხადების შეტანასთან დაკავშირებულ მითითებათა მიღება შეიძლება აგრეთვე ინტერნეტში: www.bundestag.de/ips

გულითადად გიწვევთ საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის პროგრამაში მონაწილეობისათვის და სიხარულით ველით თქვენს განცხადებას.